

შპს სმარტ სოლუშენს

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა 2024 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს სმარტ სოლუშენს

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2-4
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიში.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	8
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. შპს სმარტ სოლუშენს და მისი საქმიანობა.....	9
2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე	21
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება	22
5. ძირითადი საშუალებები	23
6. მარაგები	24
7. აქტივის გამოყენების უფლება	24
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	25
9. გაცემული სესხები.....	25
10. სახელშეკრულებო აქტივი	26
11. შეზღუდული ფული.....	26
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
13. საწესდებო კაპიტალი.....	26
14. მიღებული სესხები	27
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	27
16. მიღებული ავანსები.....	28
17. საიჯარო ვალდებულებები	28
18. შემოსავალი	28
19. მიწოდებული სერვისის თვითღირებულება	29
20. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	29
21. სხვა საოპერაციო ხარჯები	29
22. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	29
23. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	30
24. ფინანსური რისკების მართვა.....	31
25. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	34
26. შემდგომი მოვლენები.....	35

შპს სმარტ სოლუმენს

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სმარტ სოლუმენს“-ის („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 5 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

გურამ კეკუა
დირექტორი

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს სმარტ სოლუშენს-ის მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს სმარტ სოლუშენს-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სამშენებლო ხელშეკრულების ფარგლებში შემოსავალი და მიწოდებული სერვისის თვითღირებულება მოიცავს 881,305 ლარს და 1,054,999 ლარს, შესაბამისად. ხელმძღვანელობის მხრიდან არ მომხდარა აღნიშნული გრძელვადიანი სამშენებლო ხელშეკრულების ფარგლებში მომავალში გასაწევი ხარჯების სათანადოდ შეფასება და შესაბამისად არ მოუხდენია იმის შეფასება არის თუ არა აღნიშნული გრძელვადიანი სამშენებლო ხელშეკრულება წამგებიანი ხელშეკრულება რომელიც საიჭროებს ანარიცხის გაკეთებას ასეთ შემთხვევაში, როგორც ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37-ის მიხედვით. ვინაიდან შემოსავალი და მიწოდებული სერვისის თვითღირებულება ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგებაში ან ზარალში და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სამშენებლო ხელშეკრულების ფარგლებში შემოსავალი და მიწოდებული სერვისის თვითღირებულება მოიცავს 1,423,797 ლარს და 2,314,991 ლარს, შესაბამისად. ხელმძღვანელობის მხრიდან არ მომხდარა აღნიშნული გრძელვადიანი სამშენებლო ხელშეკრულების ფარგლებში მომავალში გასაწევი ხარჯების სათანადოდ შეფასება და შესაბამისად არ მოუხდენია იმის შეფასება არის თუ არა აღნიშნული გრძელვადიანი სამშენებლო ხელშეკრულება წამგებიანი ხელშეკრულება რომელიც საიჭროებს ანარიცხის გაკეთებას ასეთ შემთხვევაში, როგორც ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37-ის მიხედვით. ვინაიდან შემოსავალი და მიწოდებული სერვისის თვითღირებულება ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგებაში ან ზარალში და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი

მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთი, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშებში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აღრიცხული აქვს დაკავშირებულ მხარეზე შპს ჰორმა ინჟინერიზმზე, გაცემული სესხები 279,716 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული სესხის ღირებულებების და კლასიფიკაციის შემოწმება. ვინაიდან გაცემული სესხების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი მოიცავს 1,93,857 ლარის ნაშთს, ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული ნაშთის ღირებულების შემოწმება. ვინაიდან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი მოიცავს 1,891,333 ლარის ნაშთს, ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული ნაშთის ღირებულების შემოწმება. ვინაიდან სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბუკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბუკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამოხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ვლადიმერ ჩიტაია

შპს სფაი ჯორჯია

2025 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს სმარტ სოლუმენს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,960,242	3,389,487
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	-	359,710
აქტივის გამოყენების უფლება	7	80,965	138,116
არამატერიალური აქტივები		1,588	2,281
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,042,795	3,889,594
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	2,035,833	2,793,131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,924,243	2,506,498
გაცემული სესხები	9	279,716	316,464
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		79,511	306,748
სახელშეკრულებო აქტივი	10	592,214	314,925
შეზღუდული ფული	11	-	3,558,808
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	21,134	39,404
სულ მიმდინარე აქტივები		6,932,651	9,835,978
სულ აქტივები		9,975,446	13,725,572
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	70,435	-
გაუნაწილებელი მოგება		1,648,257	1,413,474
სულ კაპიტალი		1,718,692	1,413,474
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	17	428,730	1,306,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		428,730	1,306,000
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	16	2,207,293	6,886,883
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	3,722,438	2,733,837
მიღებული სესხები	14	800,815	499,114
გადავადებული შემოსავალი		-	-
საიჯარო ვალდებულებები	17	846,246	762,677
საგადასახადო ვალდებულებები		251,232	123,587
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,828,024	11,006,098
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,975,446	13,725,572

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 5 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

გურამ კეკუა
დირექტორი

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

9-35 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს სმარტ სოლუშენს

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	18	20,115,280	17,306,088
მიწოდებული სერვისის თვითღირებულება	19	(16,434,626)	(12,856,083)
მთლიანი მოგება		3,680,654	4,450,005
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(2,321,002)	(1,839,963)
სხვა საოპერაციო ხარჯები	21	(418,646)	(390,776)
საპროცენტო ხარჯები		(527,672)	(434,672)
საპროცენტო შემოსავალი		118,058	250,902
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		(14,817)	(1,241)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები, წმინდა	22	(219,872)	(77,737)
მოგება მოგების გადასახადამდე		296,703	1,956,518
მოგების გადასახადის ხარჯი		(9,288)	(74,351)
მოგება წლის განმავლობაში		287,415	1,882,167
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		287,415	1,882,167

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 5 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

გურამ კეკუა
დირექტორი

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

9-35 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს სმარტ სოლუშენს

კაპიტალის ცვლილების ანგარიში ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/გაუნაწი ლებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	-	(47,640)	(47,640)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	1,882,167	1,882,167
გამოცხადებული დივიდენდი	-	(421,053)	(421,053)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1,413,474	1,413,474
კაპიტალის ზრდა	70,435	-	70,435
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	287,415	287,415
გამოცხადებული დივიდენდი	-	(52,632)	(52,632)
2024 წლის 31 დეკემბერი	70,435	1,648,257	1,718,692

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 5 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

გურამ კეკუა
დირექტორი

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

9-35 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს სმარტ სოლუმენს

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადებამდე		287,415	1,882,167
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		9,288	74,351
ცვეთა და ამორტიზაცია	20	21,243	18,698
საპროცენტო ხარჯი		527,672	434,672
საპროცენტო შემოსავალი		(118,058)	(250,902)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	8	48,399	21,867
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა		-	(13,678)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	7, 20	57,151	49,099
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		14,817	1,241
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი/(მოგება)		9,305	(8,833)
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		857,232	2,208,682
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,156,486)	(1,417,039)
მარაგების (ზრდა)/შემცირება		1,185,387	(1,282,473)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		(3,564,931)	5,788,530
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(2,678,798)	5,297,700
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		96,806	212,482
გადახდილი მოგების გადასახადი		(9,288)	(74,351)
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(276,646)	(233,973)
გადახდილი პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე	17	(249,628)	(201,430)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/დაგენერირებული საოპერაციო საქმიანობიდან		(3,117,554)	5,000,428
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		70,435	-
გაცემული სესხის დაბრუნებით მიღებული თანხები		58,000	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული თანხები		4,960	15,770
გაცემული სესხის გაცემა		-	(207,000)
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(33,660)	(419,913)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		99,735	(611,143)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღებით მიღებული თანხები	14	580,000	1,196,500
სესხების დაფარვით გასული თანხები	14	(279,789)	(1,159,940)
გადახდილი საიჯარო თანხის ძირი	17	(806,822)	(425,890)
გადახდილი დივიდენდი		(52,632)	(421,053)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(559,243)	(810,383)
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(3,577,062)	3,578,902
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	3,598,212	22,919
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე		(16)	(3,609)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	21,134	3,598,212

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 5 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

გურამ კეკუა
დირექტორი

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

5 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

9-35 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს სმარტ სოლუმენს

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს სმარტ სოლუმენს და მისი საქმიანობა

შპს სმარტ სოლუმენს ს/კ 405114406 („კომპანია“) დაარსდა 2015 წლის 25 აგვისტოს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო ლევან გოგსაძე 100%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შეკეთება, მშენებლობა და საინსტალაციო საქმიანობა. კომპანია სთავაზობს მომხმარებლებს დამტკიცებული პროექტის სრულ არ ნაწილობრივ სამშენებლო სამუშაოებს.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის მისამართია კახა შევარდნაძის ქუჩა #1, ვაკე საბურთალო, თბილისი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 190 თანამშრომელი და 83 თანამშრომელი, შესაბამისად.

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 191 და 64 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და, სადაც საჭიროა, გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) მის ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იმპორტის გადასახადებს და დაუბრუნებელი შესყიდვების გადასახადებს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდაკლების შემცირების შემდეგ; ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ნივთის იმ ადგილას და მდგომარეობამდე მიყვანას, როდესაც მას შეუძლია იმუშაოს კომპანიის მენეჯმენტის მიერ დადგენილი წესით; ს) ნივთის დემონტაჟისა და მოხსნის და იმ ადგილის აღდგენის ხარჯებს სადაც ეს ნივთი იყო დ) ვალდებულება, რომელსაც კომპანია აკისრებს ნივთის შეძენისას ან ნივთის გამოყენების შედეგად. კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოების გარდა, სხვა მიზნებისთვის; და (ი) აქტივებისთვის, სესხის აღების ხარჯების კაპიტალიზაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასიცოცხლო ვადები:
შენობები	10 – 20
მანქანა-დანადგარები	5 – 10
ოფისის ავეჯი და მოწყობილობა	5 – 10
ტრანსპორტი	5 – 10
სხვა	5 – 10

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ფინანსური იჯარა. საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი, რომლებიც შესაბამისად ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდისათვის.

მოიჯარე ასევე ვალდებულია, გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება, მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის საფუძველზე არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით. აქტივის სასიცოცხლო ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდის გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო.

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან (გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები) იმ შემთხვევაში, თუკი აქტივი იქნება მისი სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

აქტივების გაუფასურება. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა აქტივების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. როდესაც შეუძლებელია აღდგენილი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. როდესაც აქტივების გადანაწილების გონივრული საფუძველი არსებობს ამ დროს კომპანია კორპორატიული აქტივების გადანაწილებასაც აკეთებს ფულის მაგენერირებელ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში მათი გადანაწილება ხდება უმცირეს ფულის მაგენერირებელ ერთეულებზე.

აღდგენითი ღირებულება არის სამართლიან ღირებულებასა და გამოყენებად ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის მაღალი. გამოყენებადი ღირებულების შეფასებისას ხდება მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირება დღევანდელ ღირებულებამდე გადასახადებამდე არსებული დისკონტის განაკვეთით, რომელიც ასახავს მიმდინარე საბაზრო შეფასებებს, დროის ფულად ღირებულებას და შესაბამისი აქტივის სპეციფიკურ რისკებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებში.

საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი

აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

როდესაც გაუფასურების რევერსიზაცია ხდება შემდგომ პერიოდში, აქტივის და ფულის მაგენერირებელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის გადაფასებულ აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა იმ შემთხვევაში რომ არ ყოფილიყო აქტივის ან ფულის მაგენერირებელი ერთეულის გაუფასურება წინა წლებში.

გაუფასურების რევერსიზაცია აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელებზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სერვისის გაწევით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები

შპს სმარტ სოლუმენს

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

